ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპლიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი - ,,საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების 2020-2022" წლების პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის და ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ".

რეგიონული განვითარების პროგრამის მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს რეგიონულ განვითარებაში ქვეყნის მასშტაბით. პროგრამის განხორციელების პერიოდია 2020-2022 წელი. პროგრამა დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის, ევროპის კავშირის ფინანსური კონტრიბუციის, ასევე, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის ფინანსური მხარდაჭერით.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ 2020 წლის 19 ივნისიდან გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" განსახორციელებლად. საკონკურსო პირობები მოწონებულია საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ.

ზემოთ ხსენებული კონკურსის ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ, შეიმუშავა პროექტები:

ა) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით;

ბ) სოფელ ამაღლებაში ტაძართან და გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არიალის გაფართოვებისთვის;

გ) ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და ეთნოგრაფიული სივრცეების მოწყობა ჩოხატაურის მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალის შექმნის მიზნით;

დ) ნოდარ დუმბაძისა და ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლების მიზნით.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელია საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილების უფროსი ზაზა ცინცაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე